საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004657

„1" მაისი 2026 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი, ვ. ნიკოლაძის I ჩიხი №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „გზები" (ს/კ 245425393)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

[illegible]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

მინისტრის 2018 წლის 20 დეკემბრის №2-1025 ბრძანებით დამტკიცებული მიმდინარე საქმიანობის [illegible] შესახებ გადაწყვეტილება (№7; 19.12.2018)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004657 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №004657 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 6 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79³ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

და 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

[illegible] [illegible] - მთავარი სპეციალისტი ინსპექტორი [illegible] [illegible]

თანამდებობის პირის ხელმოწერა: [signature]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2026 წლის 1 მაისის №004657 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

2025 წლის 21 ივლისს, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა, ქ. ბათუმში, ა. შანიძის ქუჩა, I შესახვევი, №4-ში განთავსებული, შპს „გზები“-ს (ს/კ 245425393) კუთვნილი ასფალტის საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 დეკემბრის №2-1025 ბრძანებით დამტკიცებული, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით (№7; 19.12. 2018წ.) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავებული დეპარტამენტის 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 და №004083 ადმინისტრაციული მიწერილობებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მდგომერეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიას არ აქვს შესრულებული დეპარტამენტის 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობით გათვალისწინებული ვალდებულებები. კერძოდ:

1. კომპანიას, 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული **მიწერილობის პირველი პუნქტის შესაბამისად,** არ აქვს შემუშავებული და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში შესათანხმებლად წარდგენილი ნარჩენების მართვის გეგმა (მინისტრის 2018 წლის 20 დეკემბრის №2-1025 ბრძანებით დამტკიცებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ №7 გადაწყვეტილების პირველი პირობა);

2. 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული **მიწერილობის მე-2 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიამ არ უზრუნველყო სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების სათავსოს მოწყობა (მინისტრის 2018 წლის 20 დეკემბრის №2-1025 ბრძანებით დამტკიცებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ №7 გადაწყვეტილების მე-2 პირობა);

3. 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული **მიწერილობის მე-3 პუნქტის** შესაბამისად, შპს „გზები“ არ უზრუნველყოფს მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის მონიტორინგს;

4. 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული **მიწერილობის მე-4 პუნქტის** შესაბამისად, შპს „გზები“ არ უზრუნველყოფს ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების სააღრიცხვო ჟურნალის წარმოებას;

5. 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული **მიწერილობის მე-5 პუნქტის** შესაბამისად, შპს „გზები“ არ უზრუნველყოფს უსაფრთხოების ტექნიკაში პერსონალისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარების ამსახველი ჟურნალის წარმოებას;

6. 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული **მიწერილობის მე-6 პუნქტის** შესაბამისად, შპს „გზები“ არ ახორციელებს უსაფრთხოების დაცვის ინსპექტირებას;

7. 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული **მიწერილობის მე-7 პუნქტის** შესაბამისად, შპს „გზები“ არ ახორციელებს საწარმოში არსებული მტვერდამჭერი სისტემის გამართულობის კონტროლს;

8. 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული **მიწერილობის მე-10 პუნქტის** შესაბამისად, შპს „გზები“ არ უზრუნველყოფს საწარმო დანადგარების და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის ყოველდღიური შემოწმებას;

9. 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული **მიწერილობის მე-11 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიას ნარჩენების მართვაზე დასაქმებული პერსონალისათვის არ აქვს ჩატარებული სწავლება;

10. 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული **მიწერილობის მე-12 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიას მომსახურე პერსონალისათვის არ აქვს ჩატარებული სწავლება პროფესიული უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვით საკითხებზე;

11. 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული **მიწერილობის მე-13 პუნქტის** შესაბამისად, კომპანია სრულყოფილად არ ახორციელებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგს;

12. 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული **მიწერილობის მე-14 პუნქტის** შესაბამისად, შპს „გზები“ არ ახორციელებს ხმაურის მონიტორინგს;

13. 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული **მიწერილობის მე-16 პუნქტის** შესაბამისად, საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების შეგროვების მიზნით, საწარმოში არ არის განთავსებული შესაბამისი მარკირების მქონე, სათანადო რაოდენობის, ჰერმეტულ სახურავიანი კონტეინერები;

14. გამოვლინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ბეტონის საწარმო, რომელსაც არ გააჩნია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში.

გამოვლენილ დარღვევებზე, 2025 წლის 6 აგვისტოს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^3 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილისა და 77-ე მუხლის

2026 წლის 1 მაისის №004657 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №092812 ოქმი, რომელიც თანდართული მასალებით, განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 26 აგვისტოს, №4-1474/2025 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^3 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით და 77-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 15 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის, აგრეთვე იმ პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული ქმედების განხორციელებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გზები“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 1 მაისის №004657 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 1 მაისის №004657 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „გზები“-ს (ს/კ 245425393) კუთვნილი ასფალტის საწარმოს მიმდინარე საქმიანობაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 დეკემბრის №2-1025 ბრძანებით დამტკიცებული, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით (№7; 19.12. 2018) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავებული დეპარტამენტის 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 და №004083 ადმინისტრაციული მიწერილობებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრისათვის, **შპს „გზები“ ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის** ვადაში უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა (მინისტრის 2018 წლის 20 დეკემბრის №2-1025 ბრძანებით დამტკიცებული, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების (№7; 19.12. 2018) პირველი პირობა და 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობის პირველი პუნქტი), ხოლო შემდგომ ნარჩენების მართვა განახორციელოს შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის** ვადაში უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენების (ნახმარი ზეთები, დაბინძურებული ჩვრები და სხვ.) დროებითი განთავსების სათავსოს მოწყობა, „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილების შესაბამისად, (მინისტრის 2018 წლის 20 დეკემბრის №2-1025 ბრძანებით დამტკიცებული, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების (№7; 19.12. 2018) მე-2 პირობა და 2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობის მე-2 პუნქტი);

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის მონიტორინგი, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად (2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-3 პუნქტი**);

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების სააღრიცხვო ჟურნალის წარმოება, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად (2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-4 პუნქტი**);

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს უსაფრთხოების ტექნიკაში პერსონალისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება და ინსტრუქტაჟის ჩატარების ამსახველი ჟურნალის წარმოება ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად (2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-5 პუნქტი**);

6. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ სისტემატურად უზრუნველყოს** საწარმოს ყველა უბანზე უსაფრთხოების დაცვის ინსპექტირება (მოწყობილობების და პრევენციის საშუალებების ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებით) ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად (2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-6 პუნქტი**);

7. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს საწარმოში არსებული მტვერდამჭერი სისტემის გამართულობის კონტროლი ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად (2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-7 პუნქტი**);

8. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ ყოველდღიურად** უზრუნველყოს საწარმოს დანადგარების და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება (ჯანმრთელობის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე), ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად (2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-10 პუნქტი**);

9. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში **ჩაატაროს, ხოლო შემდგომ წელიწადში ერთხელ,** უზრუნველყოს ნარჩენების მართვაზე დასაქმებული პერსონალის სწავლება, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად (2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-11 პუნქტი**);

10. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში **ჩაატაროს, ხოლო შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს მომსახურე პერსონალისათვის პროფესიული უსაფრთხოების და გარემოსდაცვით საკითხებზე სწავლება ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად (2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-12 პუნქტი**);

11. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ კვარტალში ერთხელ განახორციელოს** ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის თვითმონიტორინგი და პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის (პად-1; პად-2; პად-3)

წარმოება, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების და ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად (2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-13 პუნქტი**);

12. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის** ვადაში **ჩაატაროს, ხოლო შემდგომ კვარტალში ერთხელ უზრუნველყოს** ხმაურის მონიტორინგი, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად (2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-14 პუნქტი**);

13. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში უზრუნველყოს საწარმოში, შესაბამისი მარკირების მქონე, სათანადო რაოდენობის, ჰერმეტულ სახურავიანი კონტეინერების განთავსება, საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების შეგროვების მიზნით (2024 წლის 11 ნოემბრის №004084 ადმინისტრაციული მიწერილობის **მე-16 პუნქტი**);

14. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის** ვადაში უზრუნველყოს, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული **ბეტონის საწარმოს** საქმიანობასთან დაკავშირებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის **აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში შესათანხმებლად წარდგენა. შემდგომში საქმიანობა განახორციელოს შეთანხმებული ანგარიშის შესაბამისად.**